

გარემოს ხარისხის გარემოსდაცვითი მონიტორინგის სისტემის შეფასება საქართველოში და მისი ჰარმონიზება ევროკავშირის დირექტივებთან

პოლიტიკის დოკუმენტის რეზიუმე



2016

გარემოს ხარისხის გარემოსდაცვითი
მონიტორინგის სისტემის შეფასება საქართველოში
და მისი ჰარმონიზაცია ევროკავშირის
დირექტივებთან

პოლიტიკის დოკუმენტის რევიზია

ავტორები: მანანა დევიძე, ნინო ჩხობაძე



აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა არის საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული იურიდიული პირების გაერთიანება, რომლებიც მიზნად ისახავენ აღმოსავლეთ პარტნიორობის პრალის, ვარშავისა და ვილნიუსის სამიტების ერთობლივი დეკლარაციებითა და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით და სხვა ერთობლივი ღონისძიებებით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ხელშეწყობას.

Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform is an association of local and international non-commercial legal entities registered in Georgia, aiming to promote and implement the goals set by the Joint Declarations of the Prague, Warsaw and Vilnius Eastern Partnership Summits and the EU-Georgia Association Agreement of European Neighborhood Policy and other joint events.

ავტორები: მანანა დევიძე, ნინო ჩხობაძე

რედაქტორი: თეა ბარამაშვილი

© აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ჰაერის ხარისხის მონიტორინგის პოლიტიკურ დოკუმენტში განხილულია მონიტორინგის სისტემის დღევანდელი მდგომარეობა, აღწერილია საქართველოს 6 ქალაქის დამაბინძურებელ ნივთიერებათა მონიტორინგისა და 17 ქალაქის ინდიკატორული გაზომვების შედეგები, გაანალიზებულია არსებული მონიტორინგის სისტემის ნაკლოვანებები და დასახულია პრობლემათა გადაჭრის გზები. ქალაქებში და, განსაკუთრებით, დედაქალაქში ჰაერის დაბინძურების ძირითად წყაროდ ავტოტრანსპორტია მიჩნეული, რისთვისაც რეკომენდებულია სატრანსპორტო საშუალებებიდან გამონაბოლქვზე კონტროლის დანერგვა და სანვაგის ხარისხის კონტროლის დამოუკიდებელი ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით. რეკომენდებულია ქსელის გაფართოებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად მოკლევადიანი და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმების შექმნა. ასევე, რეკომენდებულია მონიტორინგის ქსელის სადგურების სწორი ლოკალიზაცია, ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების გაზომვათა სპექტრის გაზრდა, მონაცემთა სათანადოდ დამუშავება და მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა ევროკომისიის მიერ მოწოდებულ სტანდარტებთან. ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გასაუმჯობესებლად განიხილება საბიუჯეტო და საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამებიდან ფინანსების მობილიზება და მთლიანად ჰაერის მონიტორინგის ხარისხის ჰარმონიზება ევროკავშირის სტანდარტებთან. დოკუმენტში ასახულია გარემოს დაცვის სფეროში ასოცირების ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესაბამისი დირექტივები. ჰაერის ხარისხთან მიმართებაში რეკომენდებულია საქართველოს საკანონმდებლო რეგულაციების ჰარმონიზება ევროკავშირის 2008 წლის 21 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC დირექტივასთან ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ. ასევე, მოწოდებულია დირექტივები გარემოს პარამეტრებისთვის გამოყენებული სტანდარტების შესაბამისობისა ევროკავშირის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან.

დოკუმენტში ასევე წინ წამოწეულია საკითხი საქართველოს პარლამენტში სანვაგის ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გარემოს დაცვის კანონში საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატივის დაყენებისა და კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ზოგადად კი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა ენიჭება გარემოსა და ბუნებრივი რესურსებისადმი ფრთხილ და გონივრულ დამოკიდებულებას, რათა ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში სრულად იყოს გათვალისწინებული ქვეყნის მოსახლეობის როგორც ეკონომიკური და სოციალური ინტერესები, ისე გატარდეს ისეთი გარემოსდაცვითი ღონისძიებები, რომლებიც გარანტირებულად შეინარჩუნებს ბუნებრივ ეკოსისტემებს; გატარდეს მწვანე საფარისა და ტყეების აღდგენითი ღონისძიებები; განსაკუთრებით ურბანულ დასახლებებსა და

დიდ ქალაქებში გაძლიერდეს გამწვანების ღონისძიებები, მშთანთქმელების, ფართოფოთლოვანი და წიწვოვანი ხეების დარგვისა და რეკრეაციული ზონების გაფართოების ღონისძიებები.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა

ტელ.: +995 32 293 11 28

მობ.: +995 570 10 44 90; +995 570 10 15 28

ელ-ფოსტა: np@ei-lat.ge

ვებგვერდი: eap-csf.ge